

## დისტანციური სწავლის მიმართ მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულებების კვლევა

ტყებუჩავა მიმოზა

თბილისის N89 საჯარო სკოლა, თბილისი

ბეჟანიშვილი თინათინ

თბილისის N89 საჯარო სკოლა, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2021.544>

**აბსტრაქტი.** დისტანციური სწავლება დიდ გამოწვევასთან ერთად შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენის საშუალება იყო განათლების სფეროში მომუშავე თითოეული ადამიანისთვის მთელი მსოფლიოსთვის. გავეცანით სტატიებს დიდი ბრიტანეთისა, აშშ-სა და საქართველოს გამოცდილებაზე.

ჩვენი სკოლა აქტიურად ჩაერთო დისტანციური სწავლების ფორმატში და გადაწყვიტეთ, საქმიანობის შესაფასებლად ჩაგვეტარებინა კვლევა, როგორც მოსწავლეებში, ისე მშობლებში. ამ კვლევაში აქცენტი გვექონდა ონლაინ სწავლების დადებით და უარყოფით მხარეების გამოვლენაზე და იმ საჭიროებების დადგენაზე, რომელიც აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის დახვეწისთვის.

კვლევა დაიყო რამდენიმე ეტაპად. სამიზნე ჯგუფებად ავიღეთ I-VI, VII-XII კლასები და ასევე მშობლების ჯგუფი. I-VI კლასებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 357 მონაწილემ, VII-XII კლასებიდან 192 მონაწილემ და 349 მშობელმა.

მიღებული კვლევის შედეგები საკმაოდ საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა სკოლისთვის. გამოიკვეთა ის საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით მოხდა ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

2020-2021 სასწავლო წელი კიდევ ახალი გამოწვევებით დაიწყო ჩვენი სკოლისთვის. ჩავერთეთ ახალი სკოლის მოდელში, სწავლების ახალ ჰიბრიდულ მოდელთან ერთად. ამ სასწავლო წელს მაქსიმალურად გავითვალისწინეთ კვლევის შედეგები და წლის ბოლოს გადაწყვიტეთ, უკვე სასწავლო გარემოში მათთან პირისპირ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა, რათა უკეთესად შეძლებოდათ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. მათი პასუხები შევაჯამეთ და ჩამოვყალიბეთ ძირითადი ორიენტირები.

მნიშვნელოვანია, აქვე გამოვყოთ ინკლუზიური განათლების მიმართულება. მათი საჭიროებების კვლევის საფუძველზე ტარდებოდა მშობლების გამოკითხვა და ბავშვების აკადემიური და კოგნიტური უნარების შეფასება დისტანციურ რეჟიმში, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაცია და გაკვეთილების მონიტორინგი.

ამრიგად, აღნიშნულმა კვლევამ დაგვანახა ის ხარვეზები, რაც პანდემიის პირობებში თან სდევდა დისტანციურ სწავლებას. მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზარებინა ის გამოწვევები, რის წინაშეც ვიდევით, შესაბამისად ვეცადეთ, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მოგვერგო მოსწავლეებზე.

**საკვანძო სიტყვები:** დისტანციური სწავლება, კვლევა, საჭიროებები, დაგეგმვა, ინკლუზიური განათლება.

პანდემიამ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. დისტანციური სწავლება დიდ გამოწვევასთან ერთად შესაძლებლობების მაქსიმალური ალური გამოვლენის საშუალება იყო ამ სფეროში მომუშავე თითოეული ადამიანისთვის, რადგან

მსგავსი ფორმატით სწავლების გამოცდილება არ გვექონდა.

ონლაინ სწავლება დიდი გამოწვევა იყო მთელი მსოფლიოსთვისაც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი აქტიურად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე პანდემიის დაწყებისთანავე. მიუხედავად, ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებისა, ბევრი სკოლა მზად არ აღმოჩნდა ახალი რეალობისთვის. ბევრი ტექნიკური საკითხი აღმოჩნდა მოსაგვარებელი, მაგალითად, ტესტებისა და გამოცდების ჩატარების სირთულე, ასევე ბევრი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საკითხები [1].

რაც შეეხება აშშ-ს, მათ გადაწყვიტეს, ყურადღება გაემახვილებინათ უკვე დასწავლილი მასალის განმტკიცებაზე და არა ახლის ათვისებაზე. მათი ძირითადი ორიენტირი იყო ყველა მოსწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა სწავლა-სწავლებაზე. კომფორტული გარემოს მიუხედავად, ამერიკელი სტუდენტები დისტანციური სწავლების უარყოფით მხარედ სოციალური ინტერაქციის ნაკლებობას ასახელებდნენ. [2].

არაერთი სტატია მიემდგინა საქართველოშიც დისტანციურ სწავლებას, სადაც აქტიურად განიხილებოდა სკოლებში არსებული ვითარება. მაგალითად, ერთ-ერთი სტატიის მიხედვით, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე, დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმების გამოყენების ეფექტურობა მნიშვნელოვნად იცვლებოდა. დაწყებით საფეხურზე უფრო მეტი სირთულეები გვხვდებოდა, რადგან ამ ასაკის ბავშვებს უმარტივდებოდათ აღქმა, როცა მოვლენები რეალურ სივრცეში ხდებოდა. ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე აღნიშნული ფორმატი უფრო მეტად იყო მოწონებული მოსწავლეების მიერ [3].

ამასთანავე, კიდევ ერთ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ონლაინ სწავლების ფორმატში მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა ისეთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა როგორცაა მოტივაცია, რომელიც აზროვნების პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სწორედ ის განაპირობებს მოსწავლის განწყობებსა და დისპოზიციებს, რომელსაც იგი სწავლის გამოცდილებამდე მიჰყავს. ამის გამო, მასწავლებლებს უდიდესი როლი ენიჭებოდათ, რათა ახალ რეალობაში ახლებური მიდგომების შეთავაზებით მოეხდინათ მოსწავლეთა დაინტერესება და მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა [4].

ჩვენი სკოლა აქტიურად ჩაერთო დისტანციური სწავლების ფორმატში და გადაწყვიტეთ, 2020 წლის მეორე სემესტრის საქმიანობის შესაფასებლად ჩაგვეტარებინა კვლევა, როგორც მოსწავლეებში, ისე მშობლებში. ამ კვლევაში აქცენტი გვექონდა რაც ონლაინ სწავლების დადებით და უარყოფით მხარეების გამოვლენაზე, ასევე იმ საჭიროებების დადგენაზე, რომელიც აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის დახვეწისთვის და სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის

კვლევა დაიყო რამდენიმე ეტაპად. სამიზნე ჯგუფებად ავიღეთ I-VI, VII-XII კლასები და ასევე მშობლების ჯგუფი. თითოეული კატეგორიისთვის შემუშავდა კითხვარი, რომელმაც გაიარა ექსპერტული შეფასება. I-VI კლასების კითხვარი მოიცავდა 10 ღია და დახურული ტიპის კითხვას, VII-XII კლასების 12 ღია და დახურული ტიპის კითხვას, ხოლო მშობლებისთვის შედგენილი კითხვარი - 10 კითხვას. თითოეულ ჯგუფს მიეცა ინსტრუქცია და დრო 1 კვირის ოდენობით კითხვარის შესავსებად. მოვახდინეთ მიღებული შედეგების დამუშავება, რომელიც საკმაოდ საინტერესო, მრავალფეროვანი და ინფორმაციული აღმოჩნდა. I-VI კლასებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 357 მონაწილემ. მათი უმრავლესობა (95%) აქტიურად იყო ჩართული ონლაინ სწავლებაში, ასევე მათი უმრავლესობა (79%) მუდმივად ესწრებოდა ონლაინ გაკვეთილებს, უყურებდა ტელეგაკვეთილებს (52%) და ასრულებდა დავალებებს (78%). მასწავლებლებთან ურთიერთობისთვის უპირატესობას ანიჭებდნენ Teams-ის გამოყენებას (70%), ხოლო თანატოლებთან ურთიერთობისას როგორც Facebook/Messenger (48%), ისე Teams (42%).

ონლაინ სწავლის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა მათთვის ყველაზე საინტერესო საგნები. უმრავლესობა ასეთ საგნებად ასახელებდა ქართულს (21%) და მათემატიკას (26%), მიზეზად კი სახელდება როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო საგნები. ასევე, გვანტერესებდა მშობელთა მხრიდან დავალებების შესრულებაში ჩართულობის

მაჩვენებელი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა 48% დამოუკიდებლად ასრულებდა დავალებებს, ხოლო 45% მშობლების დახმარებით.

მოსწავლეებს ვთხოვეთ, ჩამოეთვალიათ დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. პასუხები აზრობრივად გაერთიანდა რამდენიმე კატეგორიაში. მათი აზრით, ასეთი ტიპის სწავლება საკმაოდ მარტივი და მოსახერხებელი იყო, რადგან მეტ რესურსთან ქონდათ წვდომა. ამასთანავე, ეს იყო სიახლეების წვდომის საშუალება - აღმოაჩინეს სწავლის ახალი მიდგომები და ხერხები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პროცესი საკმაოდ სახალისო და საინტერესო იყო, გაკვეთილებიც უფრო მეტად პროდუქტიულად ფორმირებული, რაც მათ ჩართულობას უწყობდა ხელს. კიდევ ერთ დადებით მხარედ უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ასახელებდნენ, სახლში ყოფნა მათთვის ნაკლებ სტრესთან ასოცირდებოდა. მოსწავლეები ასევე ამბობდნენ, რომ შეეძლოთ დროის რეგულირება, უფრო ნაკლებ დროში მათ საშუალება ჰქონდათ, მიეღწიათ მაქსიმალური შედეგისთვის.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, ერთ-ერთ ფაქტორად ასახელებდნენ რეალური ურთიერთობის სიმცირეს, რაც ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებდა. ონლაინ სწავლისას ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები, რაც აფერხებდა სასწავლო პროცესს, რის გამოც ხშირად ხელი ეშლებოდა მასწავლებელს გაკვეთილის ახსნისას. აღნიშნავდნენ, რომ არ იყო საკმარისი დრო და რაოდენობა გაკვეთილების ჩატარებისა.

რაც შეეხება VII-XII კლასებს, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 192 მონაწილემ. მათი 92% აქტიურად იყო ჩართული დისტანციურ სწავლებაში. ესწრებოდა ონლაინ გაკვეთილებს Teams-ში (77%), ასრულებდა დავალებებს (55%) და ასევე ესწრებოდა ტელეგაკვეთილებს. მასწავლებლებთან ურთიერთობისთვის მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებდნენ Teams (85%), ხოლო თანაკლასელებთან - Facebook/Messenger (88%).

რაც შეეხება ღია კითხვებს, დისტანციური სწავლების მათ მიერ ჩამოთვლილი დადებითი და უარყოფითი მხარეები გაერთიანდა რამდენიმე კატეგორიაში. პირველ ფაქტორად დასახელებული იყო ტექნოლოგიური განვითარება, რაც ტექნოლოგიური მიმართულებით ცოდნის გაღრმავებას გულისხმობდა, ასევე იგი ამარტივებდა ურთიერთობებს, როგორც მოსწავლე-მასწავლებელს, ისე თანატოლებს შორის. ასეთი ტიპის სწავლება დროის დაზოგვის და მეტი აქტივობით დაკავების შესაძლებლობას იძლეოდა. ამასთანავე, დიდი ყურადღება დაეთმო ინდივიდუალურ მიდგომებს, რაც მოსწავლეებზე პოზიტიურ გავლენას ახდენდა.

უარყოფითი მხარეების დასახელებისას აღნიშნავდნენ ტექნიკურ ხარვეზებს, რაც მრავლად იყო ონლაინ სწავლებისას. ასევე მათთვის სერიოზული დანაკლისი იყო რეალური ურთიერთობები როგორც მასწავლებლებთან, ისე თანატოლებთან. საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებდნენ გადაჭარბებულ ინტერნეტდამოკიდებულებას, რაც უარყოფითად აისახებოდა მათ ჯანმრთელობაზე.

მოსწავლეებს ასევე ვთხოვეთ, დაესახელებინათ ის სტრატეგიები რასაც თავად გამოიყენებდნენ, ასევე მოეცათ რჩევები, რომლებსაც სკოლა მომავალში გაითვალისწინებდა. უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ სკოლა წარმატებით უმკლავდებოდა არსებულ გამოწვევებს. თუმცა, მნიშვნელოვანი იყო სახალისო აქტივობების დაგეგმვა და მოსწავლეების წახალისება, ასევე მრავალფეროვანი თვალსაჩინო/ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ამასთანავე, აუცილებელი იყო ალტერნატიული ტექნიკების ფლობა ყველა ბავშვის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმაც, სულ - 349 მშობელმა. უმრავლესობამ (95%) დააფიქსირა, რომ აქტიურად იყო ჩართული დისტანციურ სწავლებაში. მათი ჩართულობა ხორციელდებოდა ძირითადად Teams-ის მეშვეობით. მშობლების უმეტესობა (57%) აღნიშნავდა, რომ ხშირი კონტაქტი ქონდათ დამრიგებელთან/მასწავლებლებთან. როგორც აღმოჩნდა ისინი ყოველდღიურად აქტიურად იყვნენ ჩართული თავიანთი შვილების სწავლების მონიტორინგში (57%) და ყოველდღიურად უმოწმებდნენ დავალებებს (50%). უნდა აღინიშნოს, რომ დახმარება მათი მხრიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდებოდა, როცა

ამას საჭიროება მოითხოვდა (52%).

მშობლების უმრავლესობამ (70%) 5 ბალიან სკალაზე მაღალი შეფასება მისცა მასწავლებელთა ჩართულობას დისტანციურ სწავლაში.

მოსწავლეთა მშობლებმა დასახელებს დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ ასახელებდნენ სიახლეების ძიების შესაძლებლობას, რომელმაც ხელი შეუწყო მათი შვილებისთვის ახალი უნარების განვითარებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ გაიზარდა ბავშვების ჩართულობა, ასევე ჩამოყალიბდა ონლაინ ფორმატზე დაფუძნებული ახალი ტიპის ურთიერთობები, რომლებიც ბავშვებისთვის იყო პოზიტიური სიახლე. მათ შეეძლოთ მაქსიმალურად გაეკონტროლებინათ გარემო პირობები, შეემცირებინათ ხმაური, სტრესი, ასევე ქონდათ შესაძლებლობა თავადაც ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში, რაც მათ დისტანციურ სწავლისადმი დადებითად განაწყობდა. ხოლო ზოგიერთი მშობლის აზრით, შექმნილი ვითარების გამო ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რომელიც საშუალებას აძლევდა ბავშვებს არ ჩამორჩენილიყვნენ სასწავლო პროცესს და მიეღოთ, ის ზოგადი ცოდნა, რომელიც აუცილებელია მათი განვითარებისთვის.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, აქ სახელდებოდა ტექნიკური სირთულეები, როგორც ინტერნეტის, ისე თავად პროგრამის ხარვეზები. მშობლები სასწავლო პროცესს აფასებდნენ, როგორც არასრულყოფილს, რომელიც ძალიან ჩამორჩებოდა საკლასო ოთახებში მიმდინარე პროცესისგან, რადგან აღინიშნებოდა რეალური ურთიერთობების სიმცირე. ამასთანავე, ბავშვები დიდ დროს ატარებდნენ კომპიუტერთან, რაც მათი აზრით, შემდგომში აუცილებლად აისახებოდა მათ ჯანმრთელობაზე. მშობლები ამბობდნენ, რომ გაკვეთილების ჩატარების ხანგრძლივობა და სიხშირე არ იყო საკმარისი სათანადო ცოდნის მისაღებად.

საბოლოო ჯამში, მიღებული კვლევის შედეგები საკმაოდ საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა სკოლისთვის. გამოიკვეთა ის საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით მოხდა ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

2020-2021 სასწავლო წელი კიდევ ახალი გამოწვევებით დაიწყო ჩვენი სკოლისთვის. ჩავერთეთ ახალი სკოლის მოდელში, სწავლების ახალ ჰიბრიდულ მოდელთან ერთად. ამ სასწავლო წელს მაქსიმალურად გავითვალისწინეთ კვლევის შედეგები და წლის ბოლოს გადავწყვიტეთ, უკვე სასწავლო გარემოში მათთან პირისპირ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა, რათა უკეთესად შეძლებოდათ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა როგორც დისტანციური, ისე შერეული მოდელის მიმართ. გამოკითხვა მოიცავდა დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეების დასახელებას, მათ დამოკიდებულებას კომპლექსური დავალებების მიმართ და მასწავლებელთა შეფასებას. მათი პასუხები შევაჯამეთ და ჩამოვაყალიბეთ ძირითადი ორიენტირები.

მოსწავლეები დისტანციური სწავლების დადებით მხარედ აღნიშნავდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ გამოეყენებინათ დამატებითი საშუალებები, მაგალითად, ტელეფონი იმისათვის, რომ გაეხსენებინათ მასალა გაკვეთილის დროს. ასეთ დროს არ ჰქონდათ შიში, რომ მასწავლებელი მათ ამის გამო შენიშნას მისცემდა. ეს პროცესი ხელს უწყობდა მასალის უკეთ დამახსოვრებას. მნიშვნელოვანი იყო გაკვეთილების ხანგრძლივობა და შუალედები გაკვეთილებს შორის, რაც შესაძლებლობას აძლევდა მათ მეტი დრო ჰქონოდათ სხვა აქტივობებისთვის. ასევე, პოზიტიურ ფაქტად მიიჩნევდნენ კომპლექსურ დავალებებს. მათი თქმით, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჰქონდათ მოცემული მრავალფეროვანი ინფორმაცია, უნდა მოეხდინათ მისი გააზრება და მრავალფეროვანი აქტივობებით წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები.

ონლაინ სწავლების კიდევ ერთი დადებითი მხარე იყო ტელე-სკოლა. სხვადასხვა მასწავლებლების მიერ განსხვავებული მეთოდებით ახსნილი გაკვეთილი საშუალებას აძლევდათ შეედარებინათ ერთმანეთთან აღნიშნული ტექნიკები და მიეღოთ მრავალფეროვანი ინფორმაცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, მათი თქმით, ისევ იყო ტექნიკური ხარვეზები, რაც ართულებდა საგაკვეთილო პროცესს. გაკვეთილების ხანგრძლივობა არ იყო საკმარისი და მასწავლებელი იყენებდა სხვა გაკვეთილის დროს ან თავისუფალ დროს, რაც

მოსწავლეებისთვის დისკომფორტს ქმნიდა. აღნიშნავდნენ, რომ ხშირი კომპიუტერის/ტელეფონის მოხმარება აზიანებდა მათ მხედველობას.

მასწავლებლებთან დაკავშირებით მოსწავლეები აღნიშნავდნენ მათ მაქსიმალურ ძალისხმევას საგაკვეთილო პროცესის წარმატებით ჩატარებაში.

მნიშვნელოვანია, ცალკე გამოვეყოთ ინკლუზიური განათლების მიმართულება, რომელიც პანდემიის პირობებში სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა. არასტანდარტულ სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია მათ განსაკუთრებით უჭირდათ, რაც აფერხებდა მათი აკადემიური და კოგნიტური უნარების განვითარებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა იყო ჩვენი, როგორც სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი. პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო მათი საჭიროებების კვლევა, რის საფუძველზეც ტარდებოდა მშობლების გამოკითხვა და ბავშვების აკადემიური და კოგნიტური უნარების შეფასება დისტანციურ რეჟიმში, ხდებოდა მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაცია და გაკვეთილების მონიტორინგი, რამდენად ახერხებდნენ სსსმ მოსწავლეები გაკვეთილზე საკუთარი თავის გამოვლენას. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე იგეგმებოდა დამატებითი ინდივიდუალური შეხვედრები ონლაინ რეჟიმში, სადაც ვმუშაობდით სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. აქტიურად ვიყენებდით მრავალფეროვან მასალას ვიზუალიზაციისთვის.

აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად პერიოდულად ტარდებოდა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ჯგუფის შეხვედრები, მოსწავლესთან მომუშავე ყველა სპეციალისტის მონაწილეობით, სადაც გადაიხედებოდა სამოქმედო გეგმა, მიღწეული შედეგები და საჭიროებები.

მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი, მონდომებით ასრულებდნენ მიწოდებულ აქტივობებს, რომელიც მორგებული იყო მათი განვითარების თავისებურებებზე.

ამრიგად, აღნიშნულმა კვლევამ დაგვანახა ის ხარვეზები, რაც პანდემიის პირობებში თან სდევდა დისტანციურ სწავლებას. მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეაზრებინა ის გამოწვევები, რის წინაშეც ვიდექით, შესაბამისად ვეცადეთ, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მოგვერგო მოსწავლეებზე. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობა, რათა ყველა ბავშვმა იგრძნოს თავი საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. გუარდიანი, T. G. (2020). How to study at home during coronavirus (26.03.2020).
2. Eye, N. (2020). Online Learning in the Time of COVID-19: What are the Pros and Cons. *Scholarship America*.
3. 3 ოსიაშვილი, ქ. (2020 წლის 5 მაისი). *დისტანციური სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეები*. მოპოვებული [www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)-დან
4. გოდუაძე, მ. (2020 წლის 9 ნოემბერი). *მოტივაციის პრობლემა და დისტანციური სწავლება*. მოპოვებული [www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)-დან

## **A Study of Students and Parents' Attitudes towards Distance Learning**

**Bezhanishvili Tinatin**

Tbilisi Public School N89, Tbilisi

**Tkebuchava Mimoza**

Tbilisi Public School N89, Tbilisi

### **Abstract**

Distance learning was a mean of maximizing opportunities with a big challenge for the people in the world who works in the education space. We read the articles about experience of Great Britain, USA and Georgia.

Our school was involved in distance learning actively and we conducted a survey of as schoolchildren as parents in order to value our activity. In this study, we focused on identifying the pros and cons of online learning that were necessary to refine the learning process.

The research began in several stages. We took 1<sup>st</sup> - 6<sup>th</sup>, 7<sup>th</sup> – 12<sup>th</sup> grades as target groups and parents' group too. 357 students participated in the study from 1<sup>st</sup> and 6<sup>th</sup> grades and 192 participants and 349 parents participated from 7<sup>th</sup> and 12<sup>th</sup> grades.

The results of research were quite interesting and informative for the school. The study identified the needs with we planned the new learning process.

2020-2021 has also started with new challenges for our school. We were involved in a new school model, along with a new hybrid model of teaching. We took into account research results and at the end of the year decided to conduct a face-to-face survey in a learning environment in order to better express their attitudes. We summarized their answers and formed the main orientaries.

It is important to emphasize the direction of inclusive education. According the research, we assessed children's academic and cognitive skills online and interviewed parents and teachers, made lessons' monitoring...

Thus, this research showed the faults that accompanied distance learning during the pandemic period. The information that we received enabled us to understand the challenges we faced, accordingly, we tried to adapt the learning process to the student as much as possible.

**Keywords:** distance learning, research , needs, planning, inclusive education.